



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაილაშის ბიბლია

ლაილაშის ბიბლია, X ს. ებრაულენოვანი ბიბლია. XX ს. 40-იან წლებში აღმოაჩინეს ლეჩხუმში, სოფ. ლაილაშში (ცაგერის მუნიციპ.). 1957-იდან ინახება საქართვე. ხელნაწერთა ინ-ტში (ახლანდ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი). მას „სვანეთის ბიბლიასაც“ უწოდებდნენ. ლ. ბ-ის ხელნაწერი არის თორა, კომენტარებითა და ფერადი გეომეტრიული დეკორით შესრულებული პერგამენტზე სხვადასხვა კალიგრაფის მიერ სხვადასხვა დროს.
